## ხელშეკრულება №53
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი

15 მარტი 2017 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თვითმმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური" (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ხიდაშელის სახით და მეორეს მხრივ ი.მ რაული ბადალოვი წარმოდგენილი რაული ბადალოვის (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის წესით ა(ა)იპ „თვითმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურისათვის" გამოყოფილი სახსრებით სხვადასხვა სახის ელ.დანიშნულების საქონლის საქონლის შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1შესყიდვის ობიექტია:

| № | CPV კოდი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 31510000 | ნათურა. | ცალი | 48 | 5 | 240 |
| 2 | 31527200 | სანათი | ცალი | 8 | 20 | 160 |
| 3 | 31211310 | ელ. დამცველის ყუთი 8-ნი მისადგმელი | ცალი | 2 | 10 | 20 |
| 4 | 44322000 | სკობი პლასტმასის | შეკვრა | 1 | 3 | 3 |
| 5 | 31211310 | ავტ.ამომრთველი | ცალი | 2 | 22 | 44 |
| 6 | 31211310 | ავტ.ამომრთველი | ცალი | 6 | 4.8 | 28.8 |
| 7 | 31310000 | როზეტი წყალგამძლე მისადგმელი სამფაზა | ცალი | 2 | 6 | 12 |
| 8 | 31224100 | Nელ.ჩანგალი სამფაზა (მამალი) | ცალი | 2 | 8.6 | 17.2 |
| 9 | 31224810 | დამაგრძელებელი კაბელით | ცალი | 1 | 14 | 14 |
| 10 | | | | | სრული ღირებულება | 539 |

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება არის 539 (ხუთასოცდაცხრამეტი) ლარი, დ.ღ.გ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია : გორი, ცხინვალის გზატკეცილი 5ა

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა.

### 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს: - შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია: - მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; - უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს: - მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია: - დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

### 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. საქონლის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „თვითმმართველი თემის გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს სპეციალისტი მომარაგების და სასაწყობე მეურნეობის დარგში - რევაზ ნადიბაიძე.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| **დამკვეთი** | **შემსრულებელი** |
| ა(ა)იპ „თვითმმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური" | ი.მ რაული ბადალოვი |
| ს/კ 417884622 | ს/კ 24001035218 |
| ბანკი : „სახელმწიფო ხაზინა" | ბანკი: „ლიბერთი ბანკი" |
| ბანკის კოდი : TRESGE22 | ბანკის კოდი:LBRTGE22 |
| ა/ა „ხაზინის ერთიანი ანგარიში" | ა/ა GE03LB0112159306159000 |
| მისამართი: გორი, სოფელი ბერბუკი | მისამართი : გორი, ცხინვალის გზ. 5ა |
| **დირექტორი: გიორგი ხიდეშელი** | **რაული ბადალოვი** |

№ 62

# მიღება - ჩაბარების აქტი

ა(ა)იპ თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური

ქ.გორი 15 მარტი 2017 წელი

ა(ა) იპ „თვითმმართველის თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურსა" (ს/კ 417884622) და ი.მ „რაული ბადალოვს" (24001035218) შორის 2017 წლის 15 მარტს გაფორმებული №53 ხელშეკრულების შესაბამისად.

ჩვენ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა)იპ „თვითმმართველის თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი სპეციალისტის მომარაგების და სასაწყობე მეურნეობის დარგში - რევაზ ნადიბაიძის სახით, და მეორეს მხრივ, ი.მ. რაული ბადალოვი (შემდგომში „მიმწოდებელი„), ვადგენთ ამ მიღება- ჩაბარების აქტს შემდეგზე, რომ მიმღებმა მიიღო, ხოლო ჩამბარებელმა ჩააბარა:

| № | CPV კოდი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 31510000 | ნათურა. | ცალი | 48 | 5 | 240 |
| 2 | 31527200 | სანათი | ცალი | 8 | 20 | 160 |
| 3 | 31211310 | ელ. დამცველის ყუთი 8-ნი მისადგმელი | ცალი | 2 | 10 | 20 |
| 4 | 44322000 | სკობი პლასტმასის | შეკვრა | 1 | 3 | 3 |
| 5 | 31211310 | ავტ.ამომრთველი | ცალი | 2 | 22 | 44 |
| 6 | 31211310 | ავტ.ამომრთველი | ცალი | 6 | 4.8 | 28.8 |
| 7 | 31310000 | როზეტი წყალგამძლე მისადგმელი სამფაზა | ცალი | 2 | 6 | 12 |
| 8 | 31224100 | Nელ.ჩანგალი სამფაზა (მამალი) | ცალი | 2 | 8.6 | 17.2 |
| 9 | 31224810 | დამაგრძელებელი კაბელით | ცალი | 1 | 14 | 14 |
| 10 | | | | | სრული ღირებულება | 539 |

შეყიდვის ობიექტის საერთო 196 (ასოთხმოცდათექვსმეტი) ლარი.

„შემსყიდველი"

მიიღო:

რევაზ ნადიბაიძე

„მიმწოდებელი"

ჩააბარა:

რაული ბადალოვი